საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>გოჩა აბუსერიძე</u>

ბიულეტენი

კენჭისყრა - 23.07.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად წარდგენილ იქნეს გენადი მაკარიძე?
(დიახ) არა

pსაქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გოჩა აბუსერიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად გენადი მაკარიძის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

<u>დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა</u>

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 2 ნოემბრის №1/138 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი, რომელშიც, სხვა კანდიდატებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო გენადი მაკარიძემ.

პროცედურაში მონაწილე კანდიდატის შესახებ ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით მოპოვებული ინფორმაციის გაცნობისა და საჯარო მოსმენების შედეგების შესაბამისად, ამავე ორგანული კანონით დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე მოვახდინე კანდიდატის შეფასება.

კანდიდატთან დაკავშირებული მახასიათებლის ანალიზისა და ყველა გარემოების ურთიერთშეჯერების შედეგად დადასტურებულად მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებს.

კანდიდატი ასევე შევაფასე ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების - სამართლის ნორმების ცოდნის, სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის, წერის უნარის, ზეპირი კომუნიკაციის უნარის, პროფესიული თვისებების, აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის და პროფესიული აქტივობის მიხედვით.

კანდიდატთან დაკავშირებით მოძიებული ინფორმაციის, ასევე გასაუბრების შედეგად გამოვლენილი მახასიათებლების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, თითოეული მახასიათებლისთვის ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული წესით მინიჭებული ქულების შეჯამებით, კომპეტენტურობის კრიტერიუმში კანდიდატმა დააგროვა 96 (ოთხმოცდათექვსმეტი)

ქულა, რაც მითითებული კრიტერიუმისათვის დადგენილი ქულათა მაქსიმალური ოდენობის გათვალისწინებით, ქმნის კანდიდატის საუკეთესოდ წარმოჩენის შესაძლებლობას და თავის მხრივ, მაძლევს კანდიდატის მხარდაჭერის საფუძველს.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის აუცილებელ მოთხოვნებს და ვიღებ გადაწყვეტილებას, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე არჩევის მიზნით, საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენად მხარი დავუჭირო გენადი მაკარიძის კანდიდატურას.

გოჩა აბუსერიძე

23.07.2021 წ.